



**გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამა**

**„თანამშრომლობის გაფართოება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისა და  
რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან“**

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოების პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მასში მოღვაწე მოქალაქეებს, სახელმწიფოს ქმედებებისას და ტრანსფორმაციის პროცესებში ცენტრალური და მნიშვნელოვანი პარტნიორის როლი ითამაშონ ამ ქვეყნებში.

გერმანიის მთავრობას სურს, საგარეო კულტურისა და განათლების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით შექმნას იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყნებს შორის სამოქალაქო საზოგადოების დონეზე შედგეს დიალოგი და ურთიერთგაგება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად ხალხთა ოცნებები და ტრავმები, კონფლიქტებით აღსავსე წარსული და ასევე იმედი განვითარებისა და საზოგადოებრივ-სოციალური წინსვლისა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რაც შეიძლება მეტ აქტიურ სუბიექტს, როგორც რეგიონებში, ასევე ქალაქებში მიეცემა შესაძლებლობა, რეგიონში გაამყარონ სოციალური ერთობა და სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურები, ხელი შეუწყონ თავისუფალი, დემოკრატიული და პლურალისტური წყობის განვითარებას და ამით წვლილი შეიტანონ მომავალში ევროპაში ხალხთა მშვიდობიან თანაცხოვრებაში. ამისათვის გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტშიც არის გათვალისწინებული თანხები.

**პროექტების განხორციელება Covid-19-ის პანდემიის პერიოდში**

Covid-19-ის პანდემია კვლავ დიდ გამოწვევად რჩება მსოფლიოში, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთში პროექტების განხორციელებაზე. ზოგჯერ მხოლოდ ციფრულ ან ჰიბრიდულ ფორმატზე გადასვლით იყო შესაძლებელი ამ პროგრამის ბოლო ორი ციკლის პროექტების განხორციელება. ამიტომ პანდემიის შემდგომი განვითარების არაპროგნოზირებადობის გამო დაფინანსების ამ ციკლშიც ყველა პროექტი სარწმუნოდ უნდა იყოს წარმოდგენილი - და/ან შესაბამის შემთხვევაში ალტერნატიულად უნდა იყოს ფორმულირებული - თუ როგორ შეიძლება

პროექტის მიზნების მიღწევა პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების კვლავ შემოდების შემთხვევაში. ამასთან განსაკუთრებით ციფრული და ჰიბრიდული ფორმატები უნდა იყოს უფრო მეტად გათვალისწინებული კონცეფციაში.

განსაკუთრებით ჰიბრიდული ფორმატები კვლავ თამაშობს მნიშვნელოვან როლს დიალოგისა და შეხვედრების ღონისძიებებში, რაც ამ პროგრამის არსებით მიზნებს განეკუთვნება. თუმცა პირად შეხვედრებს ცენტრალური მნიშვნელობა გააჩნია იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება დაკარგული ნდობის აღდგენას (მაგ. ტერიტორიული კონფლიქტების ფონზე). ასეთი ღონისძიებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ციფრულ ფორმატში, თუ გარემოებები სხვა საშუალებას არ იძლევა. ჰიბრიდული ფორმატები, რომლებიც მონაცვლეობით მოიცავს ონლაინ და ფიზიკურ ფაზებს და/ან რომლებიც ნაწილობრივ ადგილობრივად (ფიზიკურად) და რეგიონალურად (ონლაინ) ხორციელდება, შეიძლება გამოსადეგი იყოს იმისათვის, რომ სავარაუდოდ რთული პირობების შემთხვევაში 2022 წელს შესაძლებელი გახდეს დიალოგის პროცესის გაგრძელება.

### **სტრუქტურების დიგიტალიზაცია და მოდერნიზაცია**

მომავალ წელსაც ხელი უნდა შეეწყოს ფორმატებისა და სტრუქტურების დიგიტალიზაციას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ შემცირდეს ხელმისაწვდომობის ბარიერები, პროგრამამ უფრო ფართო მიზნობრივი ჯგუფები მოიცვას სამიზნე ქვეყნებსა და გერმანიაში, გაუმჯობესდეს პროგრამაში მონაწილეთა კავშირები და გამარტივდეს ზერეგიონალური პროექტების განხორციელება. პროექტის შინაარსის სწორი განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ მოქმედ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით პარტნიორ ორგანიზაციებს სამიზნე ქვეყნებში, საჭირო ციფრული ინფრასტრუქტურა გააჩნია. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის არსებული მრავალმხრივი გამოწვევების ფონზე 2022 წლის საბიუჯეტო წლისთვისაც შეიძლება გამოიყოს სახსრები სტრუქტურული ხარჯების დასაფინანსებლად. ამ შემთხვევაში საქმე უნდა ეხებოდეს ხარჯებს, რომლებიც დაფინანსებული პროექტების განხორციელების ფარგლებში წარმოიშვება (მაგ. კომპიუტერული პროგრამების ან აპარატურის შესაძენად) ან სტრუქტურის ხელშემწყობი პროექტებისთვის არის გათვალისწინებული. პირობა რჩება იგივე, რომ იგი შინაარსობრივ კავშირში იყოს დაფინანსების ოთხი მიზნიდან ერთ-ერთთან. ეს ხარჯები თავდაპირველად გაღებულ იქნა გასულ წელს და ამ თანხების გამოყოფა ჯერჯერობით შეზღუდული დროით გაგრძელდება 2022 წლის დაფინანსების პერიოდშიც. დეტალურ ინფორმაციას და იმ პროექტების

სახეობების ჩამონათვალს, რომლებიც განსაკუთრებით ციფრული განხორციელებისთვის გამოდგება, იხილავთ დოკუმენტში „FAQs Skizzeneinreichung ÖPR“, რომლის ჩამოტვირთვაც შეგიძლიათ ვებ-გვერდიდან

<http://oepr.diplo.de>.

### **პროექტების მდგრადი და კლიმატისადმი მგრძობიარე დაგეგმვა**

გარემოსა და კლიმატის დაცვა ჩვენი დროის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა, რომელმაც უნდა მართოს პროგრამის ფარგლებში ცალკეული ღონისძიებების კონცეფციისა და განხორციელების იდეები. ამის მიზანია, ყველა მონაწილემ გააცნობიეროს პროექტების ეკოლოგიურად მდგრადი და რესურსების დამზოგავი განხორციელების მნიშვნელობა. პროექტის კონცეფციაში დამაჯერებლად უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ როგორ იქნება გათვალისწინებული პროექტში ეკოლოგიური მდგრადობა და/ან რა წვლილი შეაქვს პროექტს გარემოსა და კლიმატის დაცვის საქმეში. ამჟამინდელი შეზღუდვების გამო თვითმფრინავით მგზავრობა ისედაც რთულად განსახორციელებელია და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ ეს გარდაუვალი პროექტის მიზნის მიღწევისთვის. სხვა შემთხვევაში არჩევანი უნდა გაკეთდეს ციფრულ ფორმატზე ან კლიმატისათვის უსაფრთხო ალტერნატივაზე.

გარდა ამისა, პროექტის კონცეფციაში ჩართული უნდა იყოს **გაეროს მიზნები მდგრადი განვითარებისთვის** (Sustainable Development Goals, SDGs) და მდგრადობის სხვადასხვა განზომილებით უფრო მეტად უნდა იყოს გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოში.

### **პროგრამის საშუალებით მისაღწევი მიზნები**

გერმანიის ფედერალური მთავრობა ხელს უწყობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გერმანიის სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობით ზემოაღნიშნული ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებასთან ხელს უწყობს საჭირო ტრანსფორმაციისა და შიდა ინტეგრაციის პროცესებს. ეს მოიცავს კულტურისა და განათლების პოლიტიკის სფეროში საპროექტო საქმიანობის მთელ სპექტრს (განსაკუთრებით მედიის, მეცნიერების, განათლების - პროფესიული განათლების ჩათვლით, კულტურის, უცხო ენისა და ახალგაზრდებთან მუშაობის სფეროებს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაფინანსდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ქმნიან ან აფართოებენ გერმანიისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის

ქვეყნების და რუსეთის საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის მდგრად სამოქალაქო საზოგადოებრივ სტრუქტურებს. პროექტები ასევე მორგებული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნისა და რეგიონის კონტექსტზე და მოიცავდეს ისეთ თემებს, რომლებიც ამ ფონზე მნიშვნელოვანია. პროექტი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- პროექტმა უნდა მოიცვას სამოქალაქო საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული რაც შეიძლება მეტი სუბიექტი (ასევე მულტიპლიკატორების მეშვეობით) და
  - პროექტი უნდა ემსახურებოდეს ერთ-ერთ შემდეგ მიზანს:
1. „პლურალიზმის განმტკიცება“ - ინფორმაციის, გამოხატვისა და მედიის მრავალფეროვნების ჩამოყალიბება და განვითარება:

ამ მიზანთან მიმართებაში საქმე ეხება მედიაპროექტებს. პლურალიზმის იდეა თანამედროვე დემოკრატიის ცენტრალური და კონსტიტუციური ელემენტია. მისი ლეგიტიმურობის საფუძველი პირველ რიგში არის გამოხატვის, ინტერესებისა და მიზნების იმ მრავალფეროვნების აღიარება და პატივისცემა, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. ამჟამინდელი სიტუაცია წარმოაჩენს ჟურნალისტური და განსაკუთრებით სამეცნიერო თემების, ინფორმაციებისა და მონაცემებისადმი დარგობრივი ცოდნითა და თავდაჯერებულად მოპყრობის აუცილებლობას - როგორც მაუწყებლის, ასევე ადრესატის მხრიდან. ასევე ჟურნალისტური საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევების წინაშე დგას. საჭიროა ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების, როგორც საზოგადოებრივი მაკორექტირებლების, საჭიროებების განსაკუთრებულად გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებელი და კრიტიკული ინფორმაციის შეთავაზებები.

აქედან გამომდინარე 2022 წელს გერმანიის მთავრობა გეგმავს „მედიის თანამშრომლობის“ მიმართულების ფარგლებში გამოყოს პროგრამის თანხები განსაკუთრებით მედიის სტრუქტურების შენარჩუნებისა და პროფესიონალიზაციისთვის და სხვადასხვა სფეროში მედიის წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირებისთვის.

სამეცნიერო კომუნიკაციის, მონაცემთა ჟურნალისტიკის, ფაქტების გადამოწმებისა და მედია-განათლების გაძლიერების მიმართულებით დაფინანსდება განსაკუთრებით ისეთი პროექტები, რომლებიც ზოგადად ერთად მოიცავს (სოციალური) მედიის, დიგიტალიზაციისა და ახალი ამბების თემებს.

ასევე დაფინანსდება ის პროექტები, რომლებიც ემსახურება პლურალისტური მედია-ლანდშაფტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. აქ განსაკუთრებით ისეთი პროექტები იქნება გათვალისწინებული, რომლებიც მიმართულია არასანდო და არასწორი ინფორმაციისადმი საზოგადოების მდგრადობის ჩამოყალიბებისკენ მედიის წარმომადგენლების გაძლიერებითა და კვალიფიცირებით, ასევე ხარისხიანი და პლურალისტური (ადგილობრივი) მედიის უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

დაფინანსებისთვის შესაბამისი ღონისძიებები არის მაგალითად ჟურნალისტების, ბლოგერებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ზემოაღნიშნულ ქვეყნებში და ასევე ჟურნალისტთა ჰოსპიტაციის პროგრამები გერმანიაში. დაფინანსდება ასევე მედიის კომპეტენციის გაძლიერების პროექტები, მაგალითად სკოლებსა და უნივერსიტეტებში ან პოლიტიკური განათლების სფეროში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

**2. „ღირებულებათა გაზიარება“ - სამოქალაქო საზოგადოებრივი დიალოგისა და კულტურის პოლიტიკის ღონისძიებების მეშვეობით ღირებულებათა გაძლიერება**

ამ მიზნისთვის შეიძლება დაფინანსდეს გაცვლითი და კულტურული პროექტები. ღია დიალოგი ერთობლიობებისა და ასევე განსხვავებების შესახებ როგორც შიდა ინტეგრაციის პროცესის ასევე ეროვნული პარტნიორობის საფუძველია. ეს ყოველთვის იქ ხდება, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, საუბრობენ და ერთმანეთთან თანამშრომლობენ. დიალოგს ისეთი ფუნდამენტური ღირებულებების შესახებ, როგორცაა ადამიანის უფლებათა პატივისცემა, მმართველობის კანონიერება, სასამართლოების დამოუკიდებლობა და სიცოცხლისა და თავისუფალი არჩევანის უფლება, ისევე როგორც ხმათა უმრავლესობით არჩევის პრინციპს პოლიტიკური დამაბულობის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აქედან გამომდინარე დაფინანსდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა შედეგად ხდება ზემოაღნიშნული ფუნდამენტური ღირებულებების გაზიარება და გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებრივი დიალოგის ან კულტურული ღონისძიებების მეშვეობით. მისაღებია სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების დიალოგისა და შეხვედრების ღონისძიებები და ასევე კულტურის სფეროს მრავალი სხვადასხვა ფორმატი, რომელთა

მთავარ იდეას აღნიშნული ფუნდამენტური ღირებულებების გაზიარება წარმოადგენს.

**3. „მომავლის პერსპექტივების მიცემა“ - აკადემიური, პროფესიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლებისა და კვალიფიკაციის ამალღების ღონისძიებები**

აქ პირველ რიგში საქმე ეხება განათლებისა და კვალიფიკაციის ამალღების პროექტებს („Capacity Building“). ყველა ადამიანის, განსაკუთრებით ახალგაზრდების მთავარი მოთხოვნილებაა, ჰქონდეს საკუთარი ეკონომიკური, საზოგადოებრივი და სოციალური წინსვლის პერსპექტივა და ხედავდეს საკუთარი თავის და მისი გარემოს განვითარებისა და რეალიზაციის შანსებს. აქედან ჩნდება საკუთარი ქვეყნისთვის მოღვაწეობის მოტივაცია სხვადასხვა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ სოციალურ სფეროებში. ამისათვის განათლება და კვალიფიკაციის ამალღება არის ფუნდამენტი, რომელზეც ყველა ადამიანი თავისი პირადი მომავლის პერსპექტივებსა და ოცნებებს აშენებს.

ამიტომ აქ დაფინანსდება აკადემიური, პროფესიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლებისა და კვალიფიკაციის ამალღების ღონისძიებები, ასევე სტიპენდიების გაცემის მეშვეობით. სამიზნე ჯგუფი პირველ რიგში არის ახალგაზრდობა (მაგრამ არა მხოლოდ).

**4. „დიალოგისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობა“ - ტერიტორიული კონფლიქტების ფონზე დაკარგული ნდობის აღდგენა**

ამ მიზანთან მიმართებაში საქმე ეხება ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტების ფონზე იმ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის საჭირო ნდობის აღდგენას, რომელთა ქვეყნებიც ტერიტორიული კონფლიქტის მხარეებს წარმოადგენენ. მოუგვარებელმა ტერიტორიულმა კონფლიქტებმა და დამაბულობებმა რეგიონში განსხვავებული ისტორიული თეორიების საფუძველზე გამოიწვია განხეთქილება ასევე სამოქალაქო საზოგადოებაშიც როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. ამაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს პირველ რიგში საკუთარი თავისა და სხვათა აღქმის დაშორიშორება და ასევე უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხები. ამის შედეგია ურთიერთნდობის დაკარგვა, ცრურწმენების ჩამოყალიბება და გაღრმავება და ურთიერთობისთვის მზადყოფნის ნაკლებობა. აღნიშნულთან დასაპირისპირებლად საჭიროა ისეთი ადამიანებისა და ორგანიზაციების

არსებობა, რომლებიც ცდილობენ მეორე მხარის პერსპექტივების გაგებას და ამით კომპრომისისთვის მზადყოფნის განვითარებას.

აქედან გამომდინარე დაფინანსდება სამოქალაქო საზოგადოებრივი თანამშრომლობის ის ღონისძიებები, რომლებმაც ტერიტორიული კონფლიქტების ფონზე მიზნად დაისახეს, კულტურისა და განათლების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით აღადგინონ კონფლიქტში მონაწილე ჯგუფების დიალოგისა და ურთიერთგაგებისათვის მზადყოფნა, რათა ამით ხელი შეუწყონ დაკარგული ნდობის აღდგენასა და ცრურწმენების გაქარწყლებას. აქაც ჰიბრიდული ფორმატის გამოყენება უნდა იყოს ინსტრუმენტი იმისა, რომ მოგზაურობისა და კონტაქტების მოქმედი შეზღუდვების ფონზე მთლიანად უარი არ ითქვას მნიშვნელოვან პირად შეხვედრებზე.

როგორც გერმანიაში, ასევე აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიზნე ქვეყნებსა და რუსეთში სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობს ფართო სოლიდარობა მათ მიმართ, ვისაც ყველაზე უარყოფითად შეეხო ამ პანდემიის შედეგები და მისგან გამოწვეული ავტორიტარული ტენდენციები. ამ მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად პროგრამის სამიზნე ჯგუფების მრავალფეროვნების გაძლიერების მიზნით მომავალ წელს ასევე შესაძლებელია დაფინანსდეს ისეთი პროექტები, რომლებიც მიმართულია ამ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ და/ან კონკრეტულად მათ მოიცავს. ამიტომ ერთ-ერთი პრიორიტეტი ასევე უნდა იყოს ქალების ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოებაში, არ მარტო ბელორუსში.

ხელშეწყობის ოთხივე მიზნის ფარგლებში კვლავ უნდა გაგრძელდეს ახალგაზრდების გათვალისწინება, რათა მოხდეს მათი საქმიანობის აქტიური ხელშეწყობა აღნიშნულ ქვეყნებში. სპეციალური დაფინანსება უნდა გაიცეს ისეთ პროექტებზე, რომლებიც აძლიერებს დიალოგს ზოგადად მეორე მსოფლიო ომის და კონკრეტულად ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დანაშეულებების შესახებ. მომდევნო წლებისთვის გერმანიის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, რომ პირველ რიგში ახალგაზრდებთან ერთად მრავალმხრივად მოხდეს მეორე მსოფლიო ომის მემკვიდრეობის გააზრება, რათა ამგვარად წვლილი შეიტანოს მომავალზე ორიენტირებული მოგონების კულტურის შექმნაში.

## პროექტის დაფინანსების ძირითადი წინაპირობები

### 1. რომელ ქვეყნებში უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროექტები, რომ მოხდეს მათი დაფინანსება?

სამოქალაქო საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროექტების დაფინანსება შესაძლებელი იქნება, თუ ისინი განხორციელდება გერმანიაში, რუსეთში ან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებია აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. დაფინანსებულ პროექტში მონაწილე პირები უნდა ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ერთ-ერთში, რუსეთში, გერმანიაში, ასევე პოლონეთში ან საფრანგეთში (იხ. ქვემოთ).

შესაძლებელია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობას გერმანიისა და ერთ-ერთი (ორმხრივი პროექტები) ან რამდენიმე (მრავალმხრივი პროექტები) ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

რადგან პროგრამის მიზანი გერმანიასა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს და რუსეთს შორის თანამშრომლობის სტრუქტურების შექმნას, გაფართოებასა და დაცვას ითვალისწინებს, წმინდა ეროვნული პროექტების და ისეთი პროექტების დაფინანსება, რომელშიც არ ფიგურირებს პარტნიორი გერმანიაში ან აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში, არ არის გათვალისწინებული.

გერმანიის ფედერალურ მთავრობას სურს, რომ ხელი შეუშალოს ღონისძიებების ძლიერ კონცენტრირებას დედაქალაქებში ან დიდ ქალაქებში და რომ აღნიშნულ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების რაც შეიძლება მეტ სუბიექტს მისცეს შესაძლებლობა, ითანამშრომლონ როგორც ერთმანეთში, ასევე გერმანიის სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტებთან. აქედან გამომდინარე გერმანიის მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროექტებს, რომლებიც სამიზნე ქვეყნების სოფლებსა და რეგიონებში ხორციელდება.

2022 წლისთვის გერმანიის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ ქვეყნებს, სადაც სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება კიდევ შესაძლებელია. ეს ქვეყნებია აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო და სომხეთი.

2017 წლის 13 ივლისს გერმანია-საფრანგეთის მინისტრიალზე გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება, კიდევ უფრო გააღრმავონ თანამშრომლობა გერმანიასა და საფრანგეთს შორის. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საფრანგეთის ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტრო



აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთის არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვებიან „აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოების“ 2022 წლის პროგრამაშიც.

პოლონეთის სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორებს კვლავ შეეძლება იყვნენ სამოქალაქო საზოგადოებრივი პროექტების ნაწილი პროგრამის ფარგლებში. აქედან გამომდინარე მისასაღებელი იქნება როგორც **გერმანულ-ფრანგული, ასევე გერმანულ-პოლონური ერთობლივი პროექტები ერთი ან რამდენიმე პარტნიორით სამიზნე ქვეყნებში**. განაცხადის უფლება აქვს მხოლოდ გერმანულ პარტნიორს, მაგრამ დასაფინანსებელი პარტნიორი შეიძლება ცხოვრობდეს საფრანგეთში ან შესაბამისად პოლონეთში. ამ პროექტების დაფინანსების წინაპირობაა პოლონურ ან შესაბამისად ფრანგულ პარტნიორ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა.

## **2. ვინ არიან პროგრამისთვის შესაბამის პროექტში მონაწილე სუბიექტები?**

დაფინანსებისთვის შესაბამის ღონისძიებებში მონაწილე სუბიექტები უნდა წარმოადგენდნენ სამოქალაქო საზოგადოების სფეროებს გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ან რუსეთში. აქედან გამომდინარე ღონისძიებათა სამიზნე ჯგუფები არ უნდა წარმოადგენდნენ სახელმწიფო და ეკონომიკურ სტრუქტურებს. პროექტის პოტენციური სუბიექტები არიან მაგალითად მედია, ასოციაციები, ფონდები (პოლიტიკური ფონდების ჩათვლით), უმაღლესი სასწავლებლები, ახალგაზრდული გაერთიანებები, ხელოვანები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. საზოგადოებრივი მაუწყებელიც სამოქალაქო საზოგადოების სფეროს განეკუთვნება.

ის სუბიექტები, რომლებიც სახელმწიფო ან ეკონომიკურ სტრუქტურებს განეკუთვნებიან, მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება განიხილებოდნენ ამ სფეროში, თუ ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე სამიზნე ქვეყნებში არ არსებობენ სამოქალაქო საზოგადოებრივი სუბიექტები და დასაფინანსებელი კონკრეტული ღონისძიებები გვთავაზობენ საკმარის გარანტიას დასახული პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის.

პროგრამა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროექტის პარტნიორებს შორის თანასწორუფლებიან პარტნიორულ თანამშრომლობას. ყველა პარტნიორი შეძლებისდაგვარად თანაბრად უნდა იყოს ჩართული პროექტის შემუშავებაში, ორგანიზებასა და განხორციელებაში. ამის უზრუნველსაყოფად განაცხადის

შემოტანის დროს წინასწარი შერჩევის ეტაპის შემდეგ მოითხოვება „განცხადება განზრახვის შესახებ“, რომელიც დაადასტურებს, რომ პროექტი ერთობლივად შემუშავდება და განხორციელდება. აღნიშნული განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს პროექტის ყველა პარტნიორის მიერ.

### **3. რა პერიოდში უნდა განხორციელდეს პროექტები?**

დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია **საპროექტო სახსრები**. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ექვემდებარება **წლიური ბიუჯეტის პრინციპს**. აქედან გამომდინარე პროექტები როგორც წესი უნდა დასრულდეს 2022 წლის განმავლობაში, ე.ი. **2022 წლის 31 დეკემბრამდე**. დასაბუთებულ შემთხვევებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუძლია ამ პრინციპის დარღვევა და ასევე **მომდევნო წელს გადასული პროექტების დაფინანსება, მაგრამ შეზღუდული მოცულობით**. ამის წინაპირობაა ის, რომ **პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი უნდა იყოს ორი ან რამდენიმე წლიანი პროექტის განხორციელება**.

მითითება პროექტის მდგრადობაზე ამ შემთხვევაში არ არის საკმარისი. ამით უნდა იქნეს მიღწეული ის მიზანი, რომ რაც შეიძლება მეტმა სამოქალაქო საზოგადოებრივმა სუბიექტმა შეძლოს სარგებლის მიღება რაც შეიძლება მეტი პროექტის დაფინანსებიდან.

ამისათვის აუცილებელია კონკრეტული ღონისძიების ორ ან მრავალწლიანობის აღიარება, თუ ამ აღიარების გარეშე შეუძლებელია პროგრამით დასახული საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევა. ეს ეხება მაგალითად ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული ღონისძიების განხორციელება თავისი ბუნებიდან გამომდინარე მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში შეუძლებელია, რადგან მან უნივერსიტეტში უნდა მოიცვას რამდენიმე სემესტრი.

კონკრეტული ღონისძიების მრავალწლიანობის აღიარების აუცილებლობა იმ შემთხვევაში დგება, თუ განხორციელების სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

დაფინანსების მინიმალური ოდენობაა 20.000 ევრო. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა არ არის განსაზღვრული.

მითითება: პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია პროექტების განმეორებით ხელშეწყობა. **მაქსიმუმ სამჯერ დაფინანსების** წინაპირობას წარმოადგენს პროექტის მკაფიო, შინაარსობრივი განვითარება. თუმცა არ არსებობს შემდგომი დაფინანსების პრეტენზიის უფლება (ფედერალური ბიუჯეტის შესახებ კანონის 23-ე მუხლი). პროგრამის სახსრები ემსახურება იმას, რომ დაფინანსებული იყოს პროექტების დაწყება. პროექტის გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფა

სხვადასხვა წყაროებიდან ან შემოსავლებიდან პროექტის განმახორციელებლის კომპეტენციაა.

#### **4. როლის შეიძლება პროექტის დაწყება?**

დაფინანსებაზე თანხმობის გაცემა როგორც წესი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტში პროექტის განხორციელება ჯერ არ არის დაწყებული. თუმცა შესაძლებელია, რომ ფედერალური ბიუჯეტის შესახებ კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად **გრანტის მიღებაზე განაცხადის წარდგენასთან ერთად** განმცხადებელმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოითხოვოს ღონისძიებათა წინასწარი დაწყების უფლება. ამის წინაპირობას წარმოადგენს თანამონაწილეობა **საკუთარი ან მესამე მხარის სახსრებით. გამონაკლისის სახით ღონისძიებების წინასწარი დაწყების თანხმობის მიღების შემთხვევაში** შესაძლებელია პროექტის ხარჯების ანაზღაურება თანხმობაში მითითებული კონკრეტული თარიღიდან, თუ მოგვიანებით მიღებული იქნება გადაწყვეტილება გრანტის გაცემის შესახებ. ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული თარიღიდან შესაძლებელია პროექტის დაწყება განმცხადებლის **საკუთარი პასუხისმგებლობით**, სანამ იქნება მიღებული გადაწყვეტილება გრანტის გაცემის შესახებ. სამართლებრივი პრეტენზია დაფინანსებაზე მხოლოდ გრანტის გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ არის შესაძლებელი.

2021 წლის სექტემბერში გაიმართება გერმანიის პარლამენტის არჩევნები. ამიტომ არ უნდა ველოდოთ, რომ 2022 წლის დასაწყისში უკვე დამტკიცებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი. თუმცა ძირითადად შესაძლებელი იქნება დროებითი ბიუჯეტის მოქმედების პერიოდშიც შეზღუდული რაოდენობის პროექტების დამტკიცება. ამიტომ რეკომენდაციას ვიძლევი, რომ პროექტის დაწყება უმთავრესად დაგეგმეთ 2022 წლის ზაფხულისთვის.

#### **5. როგორ იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო?**

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფორმალურ განაცხადებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური ბიუჯეტის შესახებ კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან ძალიან დიდი ინტერესის გამო, საკუთარი პროექტების განხორციელებით მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული ქვეყნების სამოქალაქო

საზოგადოებასთან თანამშრომლობის განვითარებაში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ვერ შეძლებს მის ხელთ არსებული ბიუჯეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს ყველა შემოსულ იდეას. ყველა მონაწილესათვის ადმინისტრაციული საქმის შემცირების მიზნით, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შემდეგო ორი ეტაპით:

**1. პირველადი შერჩევის პროცედურა:** პირველადი შერჩევის პროცედურის მეშვეობით ხდება იმ პროექტების იდეების იდენტიფიცირება, რომლებსაც ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით დაფინანსების მოპოვების ყველაზე კარგი შანსები აქვთ. აღნიშნული **პირველადი შერჩევის პროცედურა ხორციელდება პროექტების მონახაზების საფუძველზე**, რომლებიც მოკლედ და კონკრეტულად უნდა გადმოსცემდნენ დაგეგმილი პროექტის არსს. ამ პროცედურის პერიოდში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 601-ე დეპარტამენტი სიამოვნებით გასცემს შეკითხვებს პასუხს **პროგრამის ზოგად საკითხებთან და პროექტების კონკრეტულ იდეებთან დაკავშირებით.**

პროექტის მონახაზის ფორმით განაცხადის (გერმანულ ან ინგლისურ ენებზე) მიღება შესაძლებელია 2021 წლის 10 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე ვებ-გვერდზე:

<http://oepr.diplo.de>

ამ ვებ-გვერდზე თქვენ იხილავთ დამატებით ინფორმაციასა და მონახაზის ფორმით საპროექტო განაცხადის შემოტანის წესებს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაინტერესებულ განმცხადებლებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია პროგრამისა და მისი მიმდინარეობის შესახებ (საკონტაქტო მონაცემები იხილეთ ქვემოთ). 2021 წლის 15 ოქტომბერს ვებ-გვერდის შესაბამისი ფუნქცია გაუქმდება და პროექტების მონახაზების შემოტანა აღარ იქნება შესაძლებელი. სხვა გზით გაკეთებული განაცხადები არ განიხილება.

ისეთ პროექტებთან დაკავშირებულ განაცხადებს, რომლებიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასულ წლებში დააფინანსა, პროექტის მონახაზს თან უნდა დაერთოს დაფინანსებული პროექტებით მიღწეული მიზნის მოკლე შეფასება.

ყველა პროექტის მონახაზის შეფასების შემდეგ დაინტერესებული პირები სავარაუდოდ 2022 წლის დასაწყისში მიიღებენ **შეტყობინებას, სადაც მოცემული იქნება შეფასება**, ყველა სხვა პროექტის იდეის გათვალისწინებით ექნება თუ არა განაცხადს სავარაუდოდ წარმატების შანსი, მიიღოს გრანტი ფედერალური ბიუჯეტის შესახებ კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე.

**2. განაცხადის შემოტანა:** იმ პროექტების დაფინანსებისთვის, რომლებიც მიიღებენ დადებით შეფასებას, შესაძლებელია შემოიტანოთ ფორმალური განაცხადი. განაცხადი უნდა გამოიგზავნოს ფოსტით გერმანულ ან ინგლისურ ენაზე ყველა საჭირო საბუთთან ერთად სა განაცხადო ვადის გასვლამდე. სხვა შემთხვევაში იგი არ განიხილება.

### **ვის უნდა მივმართო შეკითხვების შემთხვევაში?**

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 601-ე დეპარტამენტს ელ. ფოსტით [601-oepr@diplo.de](mailto:601-oepr@diplo.de) ან ტელეფონით ნომრებზე +49 30 1817-4272 (ბელორუსია, მოლდოვა,); -7966 (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი); -4917 და -97104 (რუსეთი); -8231(უკრაინა); -2148).

ვებ-გვერდზე <http://oepr.diplo.de> მუშაობის ტექნიკურ სირთულეებთან დაკავშირებით გთხოვთ პირდაპირ მიმართოთ ქალბატონ ლუთერს (ტელ.: +49 30 1817-4272, ელ. ფოსტა [601-2-1@diplo.de](mailto:601-2-1@diplo.de)).